



**Election WATCH**

6 - 19 ივლისი, 2020

# რეგიონული მედია მონიტორინგი

მედიის განვითარების ფონდი წინასაარჩევნო პერიოდში რეგიონულ მედიასა და სოციალურ ქსელებში სიძულვილის ენის და ანტიდასავლური კომენტარების, ასევე დეზინფორმაციის მონიტორინგს ახორციელებს. აჭარის, იმერეთის, სამეგრელოს, სამცხე-ჯავახეთის, შიდა ქართლის, ქვემო ქართლის ტრადიციულ მედია საშუალებებთან ერთად (TV, online), მონიტორინგი ფეისბუქის გვერდებსა და ჯგუფებზეც ხორციელდება.

## იმერეთი

**ქართული მარში.** ანტილიბერალური გაერთიანება "ქართული მარშის" პოლიტიკურ პარტიად გარდაქმნის განაცხადთან ერთად, დასავლეთ საქართველოს ოფისის ხელმძღვანელად [ერმილე ნემსაძე](#) დაინიშნა. როგორც ნემსაძის, ასევე 9 ივნისს შექმნილი "[ქართული მარში - ქუთაისი](#)" ფეისბუქ გვერდებზე თურქოფობიური და ანტიდასავლური კომენტარები კეთდებოდა:

### თურქოფობია

**ქართული მარში - ქუთაისი:** "თუ იგივე სიტუაცია გაგრძელდა სულაც არ იქნება გასაკვირი, თურქებმა მიისაკუთრონ აჭარა) მიწა ფეხ ქვეშ გვეცლება და ჩვენ ასე მშვიდად არ უნდა ვიყოთ !!" (9 ივლისი)

**ერმილე ნემსაძე, ქართული მარში:** "ახლა როდესაც ფეისბუქზე ხალხი აია სოფიას გამოწუხს და ასეც უნდა იყოს, სამწუხაროდ, ამ ხალხის უმრავლესობამ არ იცის ის ვანდალიზმი, რა ვანდალიზმიც და რელიგიური, კულტურული თუ ეთნიკური გენოციდი მოგვიწყო "სტრატეგიულმა მეგობარმა თურქეთმა." (15 ივლისი)

### ანტი-NATO

**ერმილე ნემსაძე, ქართული მარში:** "ასე იყო მაგალითად, 2001 წელს ავღანეთში ბუდას

ძეგლის აფეთქებას თალიბანის თავზე 19 წლით ნატოს ოკუპაცია მოჰყვა, რომელიც დღემდე გრძელდება." (15 ივლისი)

### სექსისტური / ანტილიბერალური

პოლიტიკური პარტია "ლელო საქართველოსთვის" პროტესტს მარნეულში ნარიმან ნარიმანოვის ძეგლის აღების მოთხოვნით გამართულ აქციასთან დაკავშირებით, "ლელოს" წევრების და არასამთავრობოების მიმართ ერმილე ნემსაძის სექსისტური და ანტილიბერალური შინაარსის [კომენტარი](#) მოჰყვა: "სოროსის ვირთხები," "საბას მიერ დაჯილდოვებული "კუტუები" და "მოძრაობა "ფუჩუს" წევრები", "ორგანიზაცია "ფუჩუ" წარმოადგენს სოროსის ოფიციალურ ფილიალს საქართველოში, რომელიც რომელიც დაკავებულია კომპექსიანი ქალების შეგროვებით და გამოყენებით."

### ქართული ოცნება - რელიგიური ნიშნით დისკრიმინაცია

**დიმიტრი მხეიძე, ქართული ოცნება, ქუთაისის მაჟორიტარი:** "დღესდღეობით ვდგავართ იმ პრობლემის წინაშე, რომ ჯარში არ მიდიან ახალგაზრდები, ეწერებიან **რატაც სხვადასხვა სექტებში** და იცილებენ იმ ერთ-ერთ მთავარ პასუხისმგებლობას, რაც არის ემსახურონ თავის ქვეყანას, კარგი იქნება თუ ამასაც გავითვალისწინებთ." (8 ივლისი).

# აჭარა

## ისლამფობია

**ნუგზარ ჩხაიძე, სოციოლოგი, TV 12:** "...აი, ასეთი აგრესიული ანტიქართული გამოვლინებები, იცით, რომ ჩვენთან არის პოლიტიკური ისლამი, თურქეთში ახლა რომ მოდის, მეჩეთი არის მონობის სიმბოლო, ეს უნდა გაიგოს ყველამ, არავინ არ გეუბნება, რომ მაინდამაინც ჭამედან გადახვიდე და მიხვიდე ეკლესიაში, დაჯექი სახლში, წიგნი წაიკითე ქართული ლიტერატურა, რუსთაველი წაიკითხე და ა.შ."

## ლიბერალების/სოროსის წინააღმდეგ

**ნუგზარ ჩხაიძე, სოციოლოგი, TV12:** "დღეს მიდის საშინელი ლიბერალურ-სოროსული აგიტაცია-პროპაგანდა, ეს ყვრნის ახალგაზრდებს, ამათი იდეოლოგიაა არა სამშობლოს, არა ეკლესიას, ე.ი. არის ანტიქართული მიმართულება, ამიტომ ესენი არიან მოსაცილებლები, თორემ ძალიან ცუდად გვექნება საქმე, აი, ესენი ეწევიან ანტისახელმწიფოებრივ საქმეს".

# სამცხე-ჯავახეთი

სამცხე-ჯავახეთში ადგილობრივი მედია და სოციალური ქსელები აქტიური ინფორმაციული ნაკადით არ გამოირჩევიან.

ნინოწმინდაში მოქმედი [ფარვანა TV](#) ფეისბუკ გვერდზე სხვადასხვა მედიების რუსულენოვანი მასალები ზიარდება, მათ შორისაა:

[სპუტნიკთან დაკავშირებული newsgeorgia.ge](#) (45), რუსეთის მთავრობის მიერ დაფუძნებული [sputnikgeorgia.ru](#) (7), [ria.ru](#) (1).

ფარვანა TV [დირექტორი](#) ნინოწმინდის საკრებულოს თავმჯდომარის [მთადგილე](#) კონსტანტინ ვარდანიანი.

ფეისბუკ გვერდი [Akhalkalaki News](#) საგარეოდ პატრიოტთა ალიანსთანაა დაკავშირებული, რომელიც 2020 წლის 21 მარტს შეიქმნა და ძირითადად პატრიოტთა ალიანსის წევრის, სამველ პეტროსიანსა და ნინოწმინდა-

ახალქალაქის მაჟორიტარ დეპუტატ ენდელ მკოიანს შორის დაპირისპირების შესახებ მასალებს აზიარებს. გვერდზე ასევე ხშირად გვხვდება ამავე პარტიასთან დაკავშირებული ტვ "ობიექტივის" სიუჟეტები.

# ქვემო ქართლი

სომხეთ-აზერბაიჯანის საზღვარზე ვითარების [უკალაყის](#) ფონზე 16 ივლისს მარნეულში ნარიმან ნარიმანოვის ძეგლის დემონტაჟის მოთხოვნით აქცია გაიმართა, რომელშიც "ქართული მარშის", "ქართული იდეის", "პატრიოტთა ალიანსის" და პრიმაკოვის სახელობის ქართულ-რუსული საზოგადოებრივი ცენტრის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. [Marneuli TV](#)-ის [სიუჟეტში](#) აქციაზე მარნეულისა და ჰუტაბის ეპარქიის ეპისკოპოსის გიორგი ჯამდელიანის გამოსვლა გაშუქდა.

**გიორგი (ჯამდელიანი), მარნეულისა და ჰუტაბის ეპარქიის ეპისკოპოსი:** *"ეხლაც ესეთი ამბზრზენი მეთოდებით მავანი რაღაცა ცდილობს, რომ ფონს გავიდეს. მიმიფურთხებია ყველა იმ ქართველისთვის, ვინც ამ ძეგლს დაიცავს. ის არი სულგაყიდული, ის არი უსინდისო და მას წილი ზეციურ საქართველოსთან, არც მიწიერთან არც დედა ეკლესიასთან, არც ქართველობასთან, არც ღირსებასთან არ არის წილნაყარი."*

# სამეგრელო

## პატრიოტთა ალიანსი

ზუგდიდის მუნიციპალიტეტში პარტია „პატრიოტთა ალიანსის“ წევრმა, ნინო კვარაცხელიამ 13 ივლისს ქართული მარშის წევრის ილია კობაიძისა და საზოგადოება „ზნეობის“ წარმომადგენლის გურამ ფალავანდიშვილის შესახებ პოსტი [კომოვობიური კომენტარით](#) გააზიარა: „კაცი რომელიც პატრიოტებს ებრძვის და ლჭჭბ-ლიბერასტებთან თანამშრომლობს!“

ბიულეტენი მომზადდა მედიის განვითარების ფონდის მიერ, საქართველოს გაეროს ასოციაციისა და აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს „ტოლერანტობის, სამოქალაქო ცნობიერების და ინტეგრაციის მხარდაჭერის“ პროგრამის ფარგლებში. ბიულეტენში გამოთქმული შეხედულებები ეკუთვნის მედიის განვითარების ფონდს (MDF) და არ უნდა აღიქმებოდეს, აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა და საქართველოს გაეროს ასოციაციის ოფიციალურ პოზიციად.